მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11
2024 წლის 15 მარტი

ქ. მცხეთა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების განსაზღვრის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 მარტის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების განსაზღვრის შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 მარტის №38 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 010250000.35.153.016432, 22/03/2018 წ.), კერძოდ:

1. დადგენილების პირველი მუხლის „დ“ პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„დ) წეროვნის ადმინისტრაციული ერთეული: სოფ. წეროვანი, სოფ. სხალტბა.“.

2. დადგენილების პირველი მუხლის „ი“ პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„ი) წილკნის ადმინისტრაციული ერთეული: სოფ. წილკანი.“.

3. დადგენილების პირველ მუხლს დაემატოს „ღ“ და „ყ“ პუნქტები:

„ღ) ჩარდახის ადმინისტრაციული ერთეული: სოფ. ჩარდახი, სოფ. გოროვანი ;

ყ) ერედის ადმინისტრაციული ერთეული: სოფ. ერედა“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მცხეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი კვახაძე**